# ივერია

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!"

№ 21, 1990 წლის 1 მარტი

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

გაზეთ "ივერიის" გამოცემა აღადგინა ზურაბ ჭავჭავაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შენთანაა, მშობელო ქართველო ერო, ლენინის ვერაგობისა და საქართველოს ოკუპაციის 69-ე წლისთავის მწუხარების ჟამს. ღმერთმა ინებოს და წითელი სატანის მძლავრობის 70-ე წელი უკანასკნელი გამოდგეს დამპყრობლისათვის.**

## მ ხ ო ლ ო დ   ზ ნ ე ო ბ რ ი ო ბ ი ს   ა ფ რ ი თ !

ღვთის წყალობით, სასიკეთო მოვლენები ბოროტების იმპერიაში და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში იმაზე ბევრად სწრაფად ვითარდება, ვიდრე ამას მოველოდით. ულვთო პოლიტიკურ სტრუქტურებში მოჯადოებული ერები მეტ-ნაკლები სისწრაფითა და ენერგიით ცდილობენ განთავისუფლებას, - ინგრევა კედლები, აპატიმრებენ მმართველ კომუნისტურ ხროვებს, აქვეყნებენ საიდუმლო პოლიციის აგენტთა სიებს და ა.შ.

პროცესების დაჩქარებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა კრემლის პოლიტიკაშიც ტყვე ერთა მიმართ. ახლახან ჩატარებულმა საკავშირო პლენუმმა დაადასტურა, რომ მოსკოვი ცდილობს კვალში მისდიოს მოვლენებს, მაგრამ საკუთარი ჩრდილისა არ იყოს, წინ ვერ უსწრებს მათ. გაზეთ "ივერიის" მე-18 ნომერში (20.12.89) შენიშნული იყო, რომ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ცენტრი ცდებს არ აკლებდა, რათა საბჭოთა ტერიტორიაზე რაღაც ახალი პოლიტიკური კურსი გაეტარებინა. იგი აღმოსავლეთ ევროპის "გაშვების" შემდეგ სხვადასხვა რესპუბლიკისადმი დიფერენცირებულ მიდგომაში გამოიხატება - ზოგს მეტი თავისუფლება, ზოგს მეტი მუშტი, - ასეთია ამ პოლიტიკის ძირეული არსი.. წლის ბოლოს, როგორც გახსოვთ, უკიდურესად გამწვავდა ვითარება საქართველოში (იხ. გაზ. "ივერია", №20), მაგრამ დაძაბულობის ეპიცენტრმა აზერბაიჯან-სომხეთში გადაინაცვლა. ჯერ ბაქოში, ხოლო სულ ახლახან დუშანბეში, განხორციელდა ე.წ. "სისხლიანი მუშტის" პოლიტიკა. ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ ხაზს ადასტურებს აშშ-ს დეპარტამენტის ოფიციალური განცხადება, რომელშიც იგი მხარს უჭერს ძალის გამოყენებას "ცხელ რესპუბლიკებში" და ამსთან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბალტიისპირეთზე ასეთი რამ არ გავრცელდება. დიახ, გაბოროტებული რუსეთისა ყველას ეშინია, მოწინავე ქვეყნები ცდილობენ როგორმე ხელი შეუწყონ ბოროტების იმპერიაში დაწყებულ ნორმალურ პროცესებს. ასეა თუ ისე, მრავალი ცდის მიუხედავად საქართველოში რუსმა იმპერიალისტებმა "ახალი ყარაბაღი" ვერ მოაწყვეს, მასშტაბური ეთნიკური ომი ვერ გააჩაღეს - ქართველი ერის გენიამ და სიბრძნემ დაჯაბნა ღალატი და უკეთურება. არადა, რას არ მისცემდა "როდიონოვის პარტია" კვლავ ტანკებზე ამხედრებული რომ შემოჭრილიყო თბილისში და ცოფიანივით ეთლა ქართული სისხლი და ხორცი. იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება იმ ბნელ ზრახვებში, რომელიც ბოროტების იმპერიის ყველაზე ჯოჯოხეთურ ძალებს აქვს ქართველთა მიმართ? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ 9 აპრილმა რუს გენერალს ჭკუა ასწავლა და უცოდველ კრავად აქცია იგი? - სამხედრო-პოლიციურ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება!

საბედნიეროდ, ა.წ. იანვრის შუა რიცხვებში ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს ეყოთ სიბრძნე და წინდახედულობა საიმისოდ, რომ ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით შეეწყვიტათ მასიური საპროტესტო აქციები.

როგორც შევნიშნეთ, იმპერიაში უსწრაფესად იცვლება პოლიტიკური ვითარება. ყველაზე ჩამორჩენილ მონღოლეთშიც უკვე დემოკრატიაზე ფიქრობენ. გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს მომავალში გამოცოცხლდებიან "აზიური სოციალიზმის" ქვეყნებიც და კიდევ უფრო დაჩქარდება საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი. როგორი მომზადებული შეხვდება მოსალოდნელ მოვლენებს ეროვნული მოძრაობა, ეყოფა თუ არა მას მოქნილობა და გამძლეობა რთულ სიტუაციებში მანევრირებისათვის? - აი, ძირეული კითხვები, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს.

ქართველები უხსოვარი დროიდანვე განსაკუთრებულ გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში ვცხოვრობთ, რამაც ჩვენს ერს ცხოვრება-არსებობის თვითმყოფადი წესები გამოუმუშავა. ვიარსებებთ ჩვენთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ცხოვრების წესით XXI საუკუნეში? თუ კვლავ მიუღებელი, თუნდაც ახალი თეორიით შევიბლუდავთ თავს და შევეცდებით მისი გათვალისწინებით ვაშენოთ საქართველოს მომავალი?

ქართველი ერის ძალა, მუდამ მრავალფეროვნებათა ერთიანობაშია. ერთფეროვნება ჩვენთვის დამღუპველია, რადგან მასში არაა პროგრესი. ამ თვალსაზრისითაც ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა მრავალრიცხოვნება თუ მრავალფეროვნება. ამასთან, შენიშნულია, რომ დესპოტური რეჟიმების "გალხობას" პოლიტიკურ პარტიათა სოკოებივით აღმოცენება მოჰყვება ხოლმე. ასეა დღეს აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე იყო ფაშისტური დიქტატურის შემდეგ დასავლეთ გერმანიაშიც. ჩვეულებრივად, დროთა განმავლობაში მრავალრიცხოვან პოლიტიკურ ორგანიზაციათა რაოდენობა რეგულირდება და საბოლოოდ ვიღებთ გარკვეულ რიცხვს შედარებით სიცოცხლისუნარიანი, ერისთვის აუცილებელი პოლიტიკური პარტიებისა. საქართველოში მისთვის საჭირო პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბების პროცესში უნდა შევეჩვიოთ დემოკრატიულ ურთიერთობებს, პატივი ვცეთ სხვის აზრს და ვებრძოლოთ პატივმოყვარეობას, ვერიდოთ ეროვნული მოძრაობის სხვა მიმდინარეობისა თუ წარმომადგენელთა შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, რომელიც ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია კაცობრიობისა. ალბათ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძალადობა, რომელსაც ადამიანი მიმართავს ვითომდა ერის თავისუფლების დასამკვიდრებლად, სინამდვილეში დაამკვიდრებს უზნეობას და მოსპობს ღვთიურ ელემენტს ეროვნულ მოძრაობაში, რამეთუ ნამდვილი თავისუფლება იქაა, სადაც ზნეობრიობაა.

საქართველომ სწორედ ზნეობრიობით მოიპოვა ღვთის სიყვარული. ვინც საქართველოს ისტორიას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ დესპოტიას და განსაკუთრებით მასიურ ძალადობას ჩვენში ნაკლებად ეძლეოდა გასაქანი. ჩვენ ალბათ საშუალება მოგვეცემა სხვა დროს უფრო დეტალურად შევეხოთ ამ საინტერესო პრობლემას, რადგან ალბათ აუცილებელია საერთო მსჯელობის საგნად გავხადოთ საკითხები - "პოლიტიკა და ზნეობა", "საპარლამენტო ტრადიციები საქართველოში", "ქართული რენესანსი და მისი შედეგები", "ქართული სახელმწიფოს ბუნებისათვის" და სხვა. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს საღი აზრის განვითარებას საქართველოს მომავალი პოლიტიკური სტრუქტურების პრობლემაზე, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენთვის.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება უდიდესი პატივისცემით ეკიდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმულ თითოეულ ქართველსა და ყველა ჭეშმარიტ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას. დიადი მიზნების მისაღწევად აუცილებელია საერთო ძალისხმევა და კოორდინირებული მოქმედება. მხოლოდ ყოველმხრივ ანალიზზე დაფუძნებული - რეალური, ბრძნული და ილიასეული პოლიტიკა გადაარჩენს ქართველ ერს. ამისათვის კი საჭიროა მოძრაობაში აქტიურად ჩავრთოთ დღემდე განზე მდგომი ნაწილი ქართველობისა. ნუ დავაფრთხობთ მათ, დაუფიქრებელი მოქმედებითა და ქცევით. აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ჩავრთოთ ყველა წესიერი ქართველი, ვისაც საამისო უნარი შესწევს, ავიმაღლოთ პროფესიონალიზმი ამ სფეროში. ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი საზოგადოების პასიურ ნაწილს უნდა შევახსენოთ დანტე ალიგიერის სიტყვები: "ჯოჯოხეთში ყველაზე ცხელი ადგილები მათთვისაა განკუთვნილი, ვინც უდიდესი მორალური გამოცდების ჟამს ნეიტრალიტეტს იცავს."

ღმერთი რომ ჩვენთან იყოს და მისმა მადლმა თანამედროვე ყოფის რთული ლაბირინთები გაგვინათოს, უფალმა თავისუფლების ნავთსაყუდელში რომ მიგვიყვანოს და მშვიდობა დაგვიმკვიდროს, ამისათვის საქართველომ აუცილებლად მისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული ზნეობრიობის ნათელი აფრით უნდა იაროს. ყველამ კარგად უნდა შეიგნოს, რომ - ძალადობის, ბოროტების, ცილისწამების და საერთოდ უზნეობის შავი აფრა ჩვენს სამშობლოს უთუოდ აბობოქრებულ პოლიტიკურ მოვლენათა ოკეანეში დაღუპავს და მერე გვიან იქნება ძებნა იმ კაპიტნისა, რომელმაც კურსს აგვაცდინა.

ღვთისმშობელი ჰფარავდეს მის წილხვედრ ქვეყანას!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
გამგეობა

## ვ ი დ რ ე   მ ა ხ ვ ი ლ ს   ა ღ მ ა რ თ ა ვ !

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეშფოთებულია სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებათა მატების ფაქტით. ქართველი ქართველს სასიკვდილოდ იმეტებს - რა უნდა იყოს ამაზე შემზარავი?! ქართველი სცოდავს - ღვთის, სამართლის, საზოგადოების, ერის წინაშე. სცოდავს და ვერ ითვალისწინებს, რომ ყოველი ქართველის წინააღმდეგ მოქნეული დანა თუ ნასროლი ტყვია ეს დაჭრა-დახვრეტაა ჩვენი ეროვნული მოძრაობისა, ქართველი ერისა, საქართველოს მომავლისა. მას, ვისაც სატანისათვის ემეტება სული, მას, ვისაც საკუთარი სისხლისა და ხორცის ყასბობა განუზრახავს, მას, ვისაც სამშობლო ფურთხადაც არ უღირს, შევახსენებთ, რომ ყველაფერთან ერთად მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ეროვნული მოძრაობის წინაშეც, რამეთუ დღევანდელ ვითარებაში კაცის კვლა უფრო მეტია, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული, - იგი პოლიტიკური დანაშაულია, რადგან მრავალი ბოროტება სწორედ საქართველოს მტრების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხელშეწყობითა და წაქეზებით ხდება და მათ წისქვილზე ასხამს წყალს. ამდენად, ჩვენს საზოგადოებას ასეთ ბოროტმოქმედთა მიმართ განსაკუთრებული ანგარიში ექნება. მით უმეტეს, რომ ბოროტმოქმედებათა გახშირება გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბუნებაზე, - აფერხებს მის განვითარებას, აქცევს მას არასასურველ კალაპოტში და ა.შ.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს მომავალი და კეთილდღეობა, - ქართველებო, გაუფრთხილდით და გიყვარდეთ ერთმანეთი! თორემ ვის რა თავში სახლელად უნდა ბოროტმოქმედთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა?

## დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ა   ზ უ გ დ ი დ შ ი

1990 წლის 4 თებერვალს ქ. ზუგდიდში საქალაქო მილიციის სამძებრო განყოფილების მუშაკებმა დააპატიმრეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი ზაურ ქობალია, რომელიც აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ძებნაში იმყოფებოდა. დაპატიმრების დროს უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები. ზაურ ქობალიასთან ერთად იმყოფებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი ბორის კაკუბავა სოხუმიდან. გაჩხრიკეს მანქანაში მყოფი პირები და თვითონ კაკუბავას მანქანაც. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებასთან ერთად საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის განყოფილებამ და კერძოდ, ირაკლი წერეთელმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ზაურ ქობალია დროებით გაეთავისუფლებინათ. ზაურ ქობალიამ უარი განაცხადა რაიმე ახსნა-განმარტების მიცემაზე და ხელი არ მოაწერა მისადმი წაყენებულ ცრუ ბრალდებებს. (სხვათა შორის, ზაურ ქობალია დასახელებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად).

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა პროტესტს უცხადებს საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრის, ყოფილი პოლიტპატიმრის ზაურ ქობალიას დაკავების გამო და კატეგორიულად მოითხოვს, თავი დაანებონ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრთა დევნა-შევიწროებას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
გამგეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა კოორდინირებული მოქმედებისათვის

როგორც გაზეთ "ივერიის" წინა ნომერში ვიუწყებოდით, კიევში გამართულ უკრაინის სახალხო მოძრაობის "რუხ"-ის კონფერენციაზე გამოთქმული იყო აზრი, რომ იმპერიასთან საბრძოლველად უნდა შექმნილიყო საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ორგანიზაციას გაუწევდა სხვადასხვა რესპუბლიკაში ერთობლივი აქციების ჩატარებას.

პირველი ნაბიჯი ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად გადადგმულ იქნა კიევში, სადაც 27 იანვარს შეიკრიბნენ ბელორუსიის სახალხო ფრონტის, უკრაინის სახალხო მოძრაობა "რუხ"-ის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება. (იგი ამავე გაზეთში ქვეყნდება).

უმრავლესობის თანხმობით გადაწყდა, რომ საკოორდინაციო ცენტრის პირველი კონფერენცია მოწვეულ იქნას თბილისში.

2 თებერვალს ქ. ლვოვში გაიმართა უკრაინის ეროვნული პარტიის კონფერენცია. კონფერენციაზე შიდაპარტიული საკითხების განხილვის შემდეგ დაისვა საკითხი უკრაინისა და საქართველოს ეროვნული ძალების კოორდინირებული საქმიანობის შესახებ. 12 თებერვალს კი თბილისში გამართულ შეხვედრაზე უკრაინის ეროვნული პარტიის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის (სეგო) და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია. (რომელიც აქვე ქვეყნდება).

დღეს უკვე ნათელია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა შევიდეს განვითარების ახალ ეტაპზე. უნდა მოვამზადოთ ნიადაგი იმისათვის, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დამონებულ ე. წ. რესპუბლიკებში დაიწყოს ერთობლივი აქციები თავისუფლების მოსაპოვებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ კრემლი ისეთივე წარმატებით გაიმეორებს 9 აპრილს და შექმნის ახალ ყარაბაღს ცალ-ცალკე, ყველგან, სადაც კი გაუჭირდება, როგორც ეს განახორციელა თბილისში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე (აღმავლობასა თუ დაქვეითებაზე) დიდადაა დამოკიდებული განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიის მასშტაბით.

დღეს, როცა ასე ნათელია სხვა ეროვნულ მოძრაობებთან კოორდინირებული მოქმედების საჭიროება, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს თუ გაერთიანებებს (რა თქმა უნდა კომუნისტურის გარდა) მით უფრო გვმართებს კონსოლიდაცია და არა ხალხის ემოციებზე საკუთარი ინტრიგების აგება.

დასასრულს მინდა მოვიყვანო ჩვენი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სიტყვები: "ამდენი გაჭირვების და უბედურების შემდეგ თუ არ მოხდა ქართულ ეროვნულ ძალთა გაერთიანება, ამ მძიმე ბრძოლაში თუ ყველა ქართველი ერთმანეთის გვერდით ვერ დავაყენეთ, ჩვენ თავისუფლების ღირსი არც ვყოფილვართ".

დემურ ანთია

## ბელორუსიის, საქართველოს და უკრაინის დემოკრატიულ ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება

ჩვენ, ბელორუსიის სახალხო ფრონტის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და უკრაინის სახალხო მოძრაობა "რუხ"-ის წარმომადგენლებმა ერთობლივი მოლაპარაკების შედეგად გადავწყვიტეთ:

1. რესპუბლიკათა დემოკრატიული განვითარებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ძალთა გაერთიანებისათვის შეიქმნას რესპუბლიკების ეროვნულ მოძრაობათა და სახალხო ფრონტთა საკოორდინაციო საბჭო;

2. მივმართავთ სომხეთის ეროვნული მოძრაობის, სომხეთის დემოკრატიული პარტიისა და აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობას, რათა იხმარონ ყველა ღონე ეროვნებათშორისი კონფლიქტის შესაწყვეტად;

3. ვგმობთ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჯარების შეყვანას და ვთვლით, რომ მათი უკან გაწვევა შესაძლებელია აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების დემოკრატიულ მოძრაობათა შორის თანხმობის მიღწევის შემდეგ.

დმიტრო პავლიჩკო, ივან დრაჩი, მიროსლავ პოპოვიჩი, ივან ზაეცი, ალეს გოლკოვიჩი, გალინა ანტონიუკი (უკრაინის სახალხო მოძრაობა - "რუხ"-ი), ვიქტორ ლინჩევსკი (ბელორუსიის სახალხო ფრონტი), ბორის კაკუბავა, დემურ ანთია (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველო), ლომია კოპეშავიძე (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია).

კიევი, 28.01.90

## დარბევის წლისთავის აღსანიშნავი მიტინგები

ამა წლის 16 თებერვალს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გამართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა შარშან 18 თებერვალს ამავე ადგილას გამართული მიტინგის დარბევის წლისთავს, აგრეთვე ლიტვის დამოუკიდებლობის დღეს. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ჯუმბერ კოპალიანი, რაულ კუპრავა, მიხეილ ქურდიანი, დემურ ანთია, გივი ღამბაშიძე, ლერი გოშაძე და სხვები.

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია. მიტინგზე მყოფთა სახელით სოლიდარობის დეპეშები გაეგზავნა ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს.

---

შარშანდელი დარბევის წლისთავთან დაკავშირებით იმავე ადგილზე მიტინგი გაიმართა 19 თებერვალსაც. იგი მოაწყვეს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულმა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების პირველადმა ორგანიზაციებმა წმინდა ილია მართლის საზოგადოების თაოსნობით.

ნიშანდობლივია, რომ ამ მიტინგის შესახებ საქინფორმმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა მშვენიერი ინფორმაცია (იხ. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 22.02.90), ხოლო 16 თებერვლის მიტინგის შესახებ სამარისებურად დადუმდა. მეტიც, 16 თებერვლის მიტინგი მოხვდა შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ სისხლის სამართლის დანაშაულთა ნუსხაში!!! ჯიბგირების, მძარცველების და ხულიგნების გვერდით!!! (იხ. გაზ. "თბილისი", 22.02.90). კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტზე ზედმეტია.

## დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ჩვენ, უკრაინის ეროვნული პარტიის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის (სეგო) და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენლები, ვაქვეყნებთ ამ დეკლარაციას:

უკრაინა და საქართველო XX საუკუნის დასასრულს აღმოჩნდა ერთნაირ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში. ჩვენმა ხალხებმა ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის შედეგად განიცადეს ფიზიკური განადგურება, კულტურული ჩაგვრა და მატერიალური გაჩანაგება.

რუსული კოლონიალიზმი არსებითად განსხვავდება მსოფლიოში ცნობილი კოლონიური სისტემებისაგან იმით, რომ მეტროპოლია უშუალოდ ესაზღვრება კოლონიებს. ეს აადვილებს არა მარტო რუსიფიკაციას დაპყრობილი ხალხებისას, არამედ ქმნის ერთიანი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს ილუზიასაც.

რუსული იმპერიალიზმი დამონებული ხალხების დენაციონალიზაციასა და გენოციდთან ერთად ე. წ. რესპუბლიკებში ზრდის რუსულენოვან მოსახლეობას, ზღუდავს მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს მათი ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციების, ენის გაქრობის გზით.

მიზანმიმართულმა პროპაგანდამ რუსთა დიდმპყრობელობის შესახებ, რუსეთის მიერ დამონებულ ხალხებზე მათი ეროვნულ-გენეტიკური უპირატესობის შესახებ შექმნა ილუზია იმისა, რომ რუსეთისათვის ყველაფერი ნებადართულია, რამაც ფართო გზა გაუხსნა მას შემდგომი დაპყრობებისაკენ, სხვა ხალხების დამონებისაკენ, მსოფლიოში გაბატონებისაკენ, ეროვნული გრძნობების სასტიკი დათრგუნვისაკენ.

რუსული იმპერიალიზმი აცხადებს რა ანექსირებულ ტერიტორიებს საერთო სახელმწიფო საკუთრებად, უგულებელყოფს უკრაინელთა, ქართველთა და სხვა ხალხთა უფლებებს საკუთარ, ისტორიულად კუთვნილ მიწაზე, წიაღისეულ სიმდიდრეებზე.

"პერესტროიკის" პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, დასავლეთი ეყრდნობა რა "შინაურ საქმეებში ჩაურევლობის" პრინციპს, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ხელს უწყობს ძირმომპალი იმპერიის შენარჩუნებას.

უკრაინელი და ქართველი ხალხები შექმნილ ისტორიულ ვითარებაში იძულებულნი არიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მეტწილად ერთმანეთთან დაუკავშირებლად აწარმოონ, რასაც არ მოაქვს საგრძნობი შედეგები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უკრაინის ეროვნულმა პარტიამ, საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გადაწყვიტეს შექმნან იმპერიალისტური უღლისაგან თავდახსნის, თავისუფლების, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კოორდინირებული ბრძოლის კომიტეტი. და ისინი მოუწოდებენ ანტიიმპერიალისტურ ძალებს ამ დიდი მიზნის გარშემო გაერთიანებისაკენ, ყველა ცივილიზებული ქვეყნის მიერ აღიარებული და დეკლარირებული ადამიანის უფლებების საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში.

ბოგდან კოპუტი, ვენიამინ დუჟინსკი (უკრაინის ეროვნული პარტია)
ვახტანგ ძაბირაძე (საქართველოს რესპუბლიკური პარტია)
ტარიელ ღვინიაშვილი (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია - სეგო)
ჯუმბერ კოპალიანი, დემურ ანთია, ზაურ ქობალია (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება)

## 1990 წლის 16 თებერვალს ჩატარებული მიტინგის რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1989 წლის 18 თებერვალს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ მოწყობილი მიტინგი ხელისუფლებამ დაარბია ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და კომკავშირელი აქტივისტების დახმარებით. დარბევის შედეგად დაშავდა მიტინგის ბევრი მონაწილე.

მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის ამბების გამომკვლევმა რესპუბლიკურმა კომისიამ კომკავშირელთა და ინსტიტუტის ადმინისტრაციის მონაწილეობა მიტინგის დარბევაში უკანონოდ და უზნეოდ გამოაცხადა, დარბევის მონაწილე კომკავშირელი აქტივისტები რაიმე ფორმით დასჯის ნაცვლად დააწინაურეს და დღემდე ინარჩუნებენ დაკავებულ თანამდებობებს.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით 16 თებერვლის მიტინგი ადგენს:

1. რესპუბლიკური კომისიის დასკვნის საფუძველზე დაიგმოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატისა და დარბევაში მონაწილე სხვა თანამდებობის პირთა უზნეო მოქმედება და დაეკისროთ მათ მორალური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რამეთუ ადამიანისაგან, რომელმაც მსგავსი დანაშაული ჩაიდინა, ყოველგვარი შეცვლა-გარდაქმნის მიუხედავად მომავალშიც არ უნდა ველოდოთ მაღალზნეობრივ საქციელს;

2. შარშანდელ დარბევაში მონაწილე ყველა აქტივისტი-კომკავშირელი საჯარო გაკიცხვისა და საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რადგან ამ აქციის მიღმა იმალება ქართველი ერისათვის ყველაზე დამღუპველი - მისი ერთი ნაწილის მეორეზე მისევისა და გადაკიდების ცდა. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თანამდებობიდან განთავისუფლდეს ყველა დაწინაურებული აქტივისტი და მომავალში კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის გაუქმების შემდეგაც არ მიეცეთ მათ საშუალება კომკავშირის რიგების დატოვებისა;

3. მოვითხოვთ საქართველოს უზენაესი საბჭოსაგან, ცენტრალური კომიტეტისაგან და მთავრობისაგან, რათა დააჩქარონ აფხაზეთში შექმნილი ვითარების მოწესრიგების საქმე. ბოლო მოეღოს აქ ძირძველი ქართულ მიწაზე ქართველი მოსახლეობის შევიწროებას;

4. მიტინგი მიესალმება საბჭოთა იმპერიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის ფლაგმანს - თავისუფლებისმოყვარე ლიტველ ხალხს, ულოცავს მას დამოუკიდებლობის დღესასწაულს და უსურვებს, რომ მალე რეალურადაც ეზეიმოს ლიტვის დამოუკიდებლობა. ქართველები თქვენთან ერთად არიან, ჩვენო ლიტველო ძმებო!

ღვთისმშობელი ჰფარავდეს მის წილხვედრ ქვეყანას - საქართველოს!

1990 წლის 16 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოკუპაციის 69-ე წლისთავზე

შარშან საქართველოს ოკუპაციის 68-ე წლისთავზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობამ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად, საბჭოთა რეჟიმის ისტორიაში პირველად მიიღო გადაწყვეტილება - ეგლოვა ქართველი ერისათვის ტრაგიკული 25 თებერვალი. შარშანვე გადაწყდა, რომ ჩვენს საზოგადოებას და მის მხარდამჭერთ გაევლოთ გზის ის მონაკვეთი, რომელიც 1921 წლის თებერვალში განვლეს წითელ ურჩხულთან საბრძოლველად მიმავალმა ქართველმა იუნკრებმა. დღეს, ერთი წლის გადასახედიდანაც კი თვალსაჩინოა ის ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური ძვრები, რომელიც ქართველი ერის ცნობიერებაში მოხდა. 1989 წლის თებერვალში ხელისუფლების სათავეში მარიონეტთა ის ხროვა იდგა, რომელმაც მოწვეულ ჯალათებთან ერთად ჩვენი ერის სისხლში გაისვარა ხელი. ერთი წლის წინ შეკრება არ აცალეს ჩვენს საზოგადოებას - კონთეატრ"ოქტომბერთან" წინასწარ დააპატიმრეს ზურაბ ჭავჭავაძე და გამგეობის სხვა წევრები. ამის შესახებ დეტალურად იუწყებოდა გაზეთი "ივერია" № 2. (1.03.89). ამდენად, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობისა და დარბაზის გადაწყვეტილებით შარშან არშემდგარი აქცია წელს უნდა გამართულიყო. ქალაქში წინასწარ გავრცელდა მოწოდება "იუნკრების ნაკვალევზე". მას მრავალი თბილისელი გამოეხმაურა. იყო პლაკატები: "ვგმობთ საბჭოთა ოკუპაციას!", ვგმობთ ლენინის მიერ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების ვერაგულ დარღვევას და სხვა. შეკრების ადგილზე გაიმართა წინასწარი მიტინგი. სიტყვები წარმოთქვეს ჯუმბერ კოპალიანმა, ზურაბ ცინცაძემ, ვახტანგ ბოჭორიშვილმა, ქართული "მხედრიონის" წარმომადგენელმა ზურაბ დანელიამ და სხვ. მცირე მიტინგის დასრულების შემდეგ სამგლოვიარო დემონსტრაცია შირს დახრილი დროშებით რუსთაველის პროსპექტისაკენ გაემართა. დემონსტრაცია მცირე ხნით რესპუბლიკის მოედანზე შეჩერდა. აქ სიტყვებით გამოვიდნენ საზოგადოების დარბაზის წევრები - ვალერი ვაშაკიძე და გივი ლამბაშიძე. მთავრობის სასახლის წინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ კოჯრისა და ტაბახმელას ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალურ ქვასთან გვირგვინი მიიტანა, შემდეგ კი შეუერთდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მიერ დაწყებულ მიტინგს. აქ სიტყვები წარმოთქვეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრმა ჯუმბერ კოპალიანმა და დარბაზის წევრმა ზურაბ კიკნაძემ. მალე სამგლოვიარო მიტინგს შემოუერთდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც შარშან 25 თებერვალს აწ დამხობილ ორჯონიკიძის ძეგლთან "ხელკეტიანი დემოკრატები" სასტიკად გაუსწორდნენ. სიტყვა წარმოთქვა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ.

წელს უნივერსიტეტთან რიგ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ინიციატივით გაიმართა მიტინგი და სამგლოვიარო დემონსტრაცია, რომელიც საბოლოოდ მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგს შეუერთდა. დიახ, საუბედუროდ, მხოლოდ დიდ მწუხარებას შეუძლია ჩვენი გაერთიანება. რა თქმა უნდა, გაერთიანებაში არ იგულისხმება ერთპარტიულ ან ერთპიროვნული დიქტატის ქვეშ ყველას გაერთიანება. ერთიანობაში ჩვენ მხოლოდ კოორდინირებულ ძალისხმევას ვგულისხმობთ. იმედია, რომ უახლოეს მომავალში საგნები და მოვლენები თავის სახელებს დაიმკვიდრებენ. მანამდე კი, უთუოდ, ყველას მეტი შემწყნარებლობა, მოთმინება და ურთიერთპატივისცემა გვმართებს. აი, რა გვაგრძნობინა ჩვენი მონობისა და გაუბედურების 69-ე წლისთავმა.

ვაჟა ყაჭეიშვილი

## ხ ს ო ვ ნ ი ს კ უ თ ხ ე

**29 იანვარს აღინიშნა ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან მე-40 დღე. ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, სადაც დაკრძალულია ზურაბ ჭავჭავაძე, გადახდილ იქნა პანაშვიდი.**

### მცირე მოგონება აქტუალურ თემაზე

შიდა ქართლში ბოლოდროინდელმა არეულობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ საჭიროა იმ გზების გამონახვა, რაც მსგავს სიტუაციებს აგვაშორებს და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას არ გაგვირთულებს.

შიდა ქართლში "ეთნოყაჩაღების" მიერ ჩაფიქრებული ეთნოკრიზისის აღკვეთის უკეთილშობილესი მიზნით გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში ცხინვალში რამდენჯერმე ჩავიდა ჩვენი სულნათელი ზ უ რ ა ბ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. იმხანად ერთადერთ ოსურ არაფორმალური გაერთიანების "ადამონ ნიხასის" ხელმძღვანელებთან მას ჰქონდა უაღრესად პრინციპული და დაძაბული დიალოგი (ამის შესახებ იხ. ზურაბ ჭავჭავაძის ინტერვიუ გაზეთებში "მოლოდიოჟ გრუზიი", 26.09.89 და "თბილისი", 27.12.89, აგრეთვე გაზ. "ივერია", №17, "ბ-ნ ზ. გამსახურდიას ზოგიერთი განცხადების გამო"). ამ დიალოგს უეჭველად დადებითი შედეგები მოჰყვებოდა ქართველი ხალხისათვის (ერთ კრიტიკულ მომენტში მოჰყვა კიდეც, როდესაც უაღრესად დაძაბული სიტუაცია განმუხტა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და "ადამონ ნიხასის" ერთობლივმა მიმართვამ ქართველი და ოსი ხალხებისადმი), მაგრამ გარკვეულმა ძალებმა დიალოგის ჩასაშლელად ყოველი ღონე იხმარეს. ამას მოჰყვა 13 ოქტომბრის ავტოკატასტროფა, და როგორც მრავალ სასიკეთო საქმეს, ამ საქმესაც ჩამოშორდა ორი დიდი პიროვნება - მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე, რომელთა სიკვდილმა ხელფეხი გაუხსნა გარკვეულ ძალებს...

ქვემოთ მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ზურაბ ჭავჭავაძის გამოსვლიდან ქარელის რაიონის სოფ. დვანში აგვისტოს თვეში ჩატარებულ მიტინგზე. (ამ მნიშვნელოვანი მიტინგის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ). მიტინგზე პროფესიონალ ცილისმწამებელთა ერთ-ერთმა გაბრიყვებულმა მიმდევარმა ზურაბს "ადამონ ნიხასთან" "მეგობრული ურთიერთობა" დასდო ბრალად. ზურაბმა მისთვის ჩვეული დარბაისლური მგზნებარებით უპასუხა მას, აუხსნა "ადამონ ნიხასის" ხელმძღვანელობასთან დიალოგის არსი და მნიშვნელობა და დაუმატა: (მოგვყავს ამონაწერი ფირიდან)

"ჩვენ პოლიტიკაში ვმონაწილეობთ, ჩვენ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, და ჩვენი მოვალეობა ის კი არ არის, ვინც ჩვენ გვიყვარს, ვინც ჩვენ გულზე გვეხატება და ჩვენი ბიძაშვილ-მამიდაშვილია, იმასთან მივიდეთ და იმასთან მოვნახოთ საერთო ენა; ჩვენი მოვალეობა ისაა, საერთო ენა მოვნახოთ იმასთან, ვინც ჩვენდამი მტრულად არის განწყობილი. ეს არის ხელოვნებაც პოლიტიკური მოღვაწეობისა და აუცილებლობაც! აბა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საქართველოს სხვადასხვა ტომებთან ჩასვლითა და ქეიფითა და მოსიყვარულებით რა გაკეთდება!.." (ხაზგასმები ჩვენია. რედ.)

ვფიქრობთ, ჩვენი სულნათელი ზურაბის სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება!



### არ იციან, ღმერთო, რას იქმან!

დაიწყო სასამართლო, რომელმაც განაჩენი უნდა გამოუტანოს ვოვა ვეკუას მკვლელს. ცოდვით დამძიმდა დედამიწა, იოანეს გამოცხადება რეალობად იქცა, დემონურმა ძალებმა იმძლავრა და ხალხს გონება აუმღვრია. განა ამის დასტური არ არის ვოვა ვეკუას სადისტური მკვლელობა?

სრულიად ახალგაზრდა ჩაება ვოვა ეროვნულ მოძრაობაში. მამაპაპათა თანდაყოლილი გენი უმაღლესი ზნეობისა დაედო საფუძვლად მის საქმიანობას. მას ძლიერ აღელვებდა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ხელოვნურად დათრგუნული ეროვნული თვითშეგნების დაქვეითება და გზებს ეძებდა მის ასაღორძინებლად. 70-80-იან წლებში განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა საბჭოთა იმპერიის მიერ ინსპირირებული აფხაზური სეპარატიზმი, რამაც ქართველები არნახულ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სწორედ ამ დროიდან გაჩნდა პირველი ნიშანწყალი ქართული ეროვნული მოძრაობისა, რომელიც თვითგადარჩენის ინსტიქტით იყო ნაკარნახევი. ვოვა სწორედ იმ პირველთაგანი იყო, რომელსაც ეს ბრძოლა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია.

თავისი ცხოვრების წესით ვოვა იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. ხშირად ვსაუბრობდით, თუ რა გზით უნდა წასულიყო ქართული სულის აღზევება. პასუხად ხშირად იმეორებდა სულკურთხეული მერაბის სიტყვებს: "მოყვასისა და ერის მსახურებად აღგვმართე და ნურც მიგვატოვებ განსაცდელში, ქრისტე მაცხოვარო!" გზა მხოლოდ ერთია - რწმენა!

დიახ, ვოვა სწორედ ის ძმადნაფიცი რაინდი გახლდათ, რომელიც დაუმორჩილებელია და ულალატო. მისმა ულალატო სულმა დააყენა იგი თავის მოძმეთა გვერდით იმ ავადმოსახსენებელ დღეს, 15 ივლისს. იგი მსხვერპლად შეეწირა თავის ერს.

საქართველოს დღეგრძელობა უწერია და ამიტომაც, ვოვა, შენი სახელი მარადცოცხალი იქნება.

ვზივარ სასამართლოზე და ვფიქრობ, როგორ მოიხმობდი სულმნათ ილიას და მისი სიტყვებით აღავლენდი ლოცვას:

"მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ
შენ წინა.
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა
არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე
ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა
გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: "შეუნდე, არ იციან, ღმერთო,
რას იქმან!"

რაულ კუპრავა



### არ დაგივიწყებს შენ საქართველო

გარდაიცვალა საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის "აკეგო"-ს ერთ-ერთი აქტიური წევრი გურამ ნიკოლოზის-ძე ფარცვანია.

გურამ ფარცვანია იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი "აკეგო"-ს შექმნისა, რომელიც არალეგალურად ჩამოყალიბდა 1961 წელს ქ. ქუთაისში. იგი იყო მთავარი კომიტეტის წევრი. ამ კომიტეტის სხდომაზე 1962 წლის ოქტომბერში აღნიშნული ორგანიზაციის სახელწოდება გადაკეთდა "კეკ"-ად (კავკასიის ერთა კავშირი). ორგანიზაცია მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხთა ერთიან ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

გურამ ფარცვანია აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა ფურცლების შექმნასა და გავრცელებაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

1963 წლის აპრილში გურამ ფარცვანია დაპატიმრებულ იქნა სუკ-ის მიერ და საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-73 მუხლების საფუძველზე მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა მორდვეთის პოლიტპატიმართა ბანაკებში. ბანაკების ადმინისტრაციისაგან იგი მიჩნეული იყო, როგორც გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა ელემენტი და განთავისუფლების შემდეგ 1979 წლამდე ჰქონდა საპასპორტო შეზღუდვა.

გურამ ფარცვანია იყო ერთ-ერთი იმათგანი, რომელთაც იმ უმძიმეს წლებში გაბედულად აღიმაღლეს ხმა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ (რაზეც დღეს ასე გაადვილებულია ლაპარაკი!), მაგრამ ამისათვის პატივი და დიდება არ მოუთხოვიათ, მით უფრო, თავისი სახელის გარშემო აჟიოტაჟის შექმნისათვის ოდნავადაც არ უზრუნიათ.

გურამ ფარცვანიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თანამებრძოლებში.

ზაურ ქობალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ნეობოლშევიზმის" შესახებ

როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს დამკვიდრდა ტერმინი "ნეობოლშევიზმი" ეროვნული მოძრაობის რიგი წარმომადგენლებისა და მათი მიმდევრების მისამართით.

დღეს ეს ადამიანები ცდილობენ დაამტკიცონ (განსაკუთრებით მიტინგებზე), რომ ამ ტერმინის ხმარება მათ მიმართ უაზრობაა, რადგან ისინი სწორედ ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვიან, ხოლო ეს ტერმინი თითქოს მარქსისტულ-ბოლშევიკური იდეოლოგიის აღორძინებას გულისხმობს.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გაიხსენონ ის წერილები, რომლებშიც ეს ტერმინია ნახმარი და შესაბამის ტენდენციებზეა ლაპარაკი. ("საუბარი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრთან თამარ ჩხეიძესთან", გაზ. "ქართული ფილმი", 7.06.89; მეცნიერთა ჯგუფის წერილი "სახიფათო ტენდენცია", გაზ. "თბილისი", 27.11.89; თ. ჩხეიძის წერილი "გაფიცვები და პოლიტიკური რეალიზმი", გაზ. "ივერია", №12, 12.08.89; მერაბ გვაზავას და აკაკი ბობოხიძის "ნეობოლშევიზმი – საშიში ტენდენცია", გაზ. "იმერი", №2, 12.12.89; ნაირა გელაშვილის "საუბარი პირველი", გაზ. "ქართული ფილმი", 25.10.89; მისივე "განმარტება", გაზ. "თბილისი", 15.11.89 და სხვა). ამ წერილებში აბსოლუტურად ნათლად ჩანს, რომ "ნეობოლშევიზმში" მარქსისტულ-ბოლშევიკური იდეოლოგიის აღორძინება კი არ იგულისხმება, არამედ ხელახალი დამკვიდრება ბოლშევიკური მეთოდებისა, ბოლშევიკური ზნეობისა, (უკვე სხვა, საპირისპირო იდეოლოგიის საფუძველზე), რაც გამოიხატება განსხვავებული აზრის ტერორიზებაში, ცილისწამებაში, სიცრუეში, ფაქტების გაყალბებაში, შიშის ატმოსფეროს დანერგვაში, ხალხში ფსიქოზის შექმნაში და სხვა უმსგავსოებებში, რითაც 70 წლის მანძილზე და მანამდეც ასე განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ბოლშევიკებმა, და რაც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ელემენტარულ უფლებათა დარღვევა და ფეხქვეშ გათელვა. სამწუხარო და სავალალოა, რომ ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი დიდი წარმატებით განაგრძობს ამ სამარცხვინო და დამღუპველი მეთოდების გამოყენებას განსხვავებული (თუნდაც ოდნავ!) აზრის წინააღმდეგ და პირადი განაწყენების შემთხვევაშიც კი!

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ განსვენებული მერაბ კოსტავა ასეთ მოქმედებებს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრებზე ცილისმწამებლურ თავდასხმებს სწორედ "ბოლშევიკობას" და "კომკავშირლობას" უწოდებდა. (იხ. ჟურნ. "გუშაგი", №20, პარიზი). მეტიც, ხშირად უთქვამს ნაღვლიანად, – ყოველივე ამის ყურებას ციხეში ყოფნა მირჩევნოდაო...

ზოგიერთები ცდილობენ, ნეობოლშევიკური გამოვლინებანი ეროვნულ მოძრაობაში მონაწილე პიროვნულ შეცდომებად, – "არავინ არაა შეცდომებისაგან დაზღვეულიო"! (იხ. თემურ ფიფიას წერილი "მართლაც "სად არის ქართული მწერლობა", გაზ. "საქართველო", №3, 11.02.90). უნდა გავახსენოთ მათ, რომ არც თუ დიდი ხნის წინათ ოფიციოზი "შეცდომად" ნათლავდა ბევრ რამეს, თვით 1937 წლის სულიერ და ფიზიკურ რეპრესიებსაც კი! დღეს, როგორც იქნა, ამ "შეცდომებს" დანაშაული ეწოდა.

უნდა გავახსენოთ მათ ელემენტარული ჭეშმარიტებაც: შეცდომა არის უნებლიედ, თავისდაუნებურად ჩადენილი არასწორი ქმედება ან ისეთი არასწორი ქმედება, როცა ადამიანს ჰგონია, რომ კარგად იქცევა. მაგრამ როდესაც ადამიანი წინასწარგანზრახულად სჩადის ცუდ საქციელს, ეს უკვე დანაშაულია.

ზემოთხსენებული ნეობოლშევიკური ქმედებანი (ცილისწამება, ფაქტების გაყალბება, განსხვავებული აზრის ტერორიზება და სხვა) სწორედ წინასწარგანზრახულად ჩადენილი ქმედებანია და, ამდენად, სწორედ დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება და არა შეცდომისას. რაც მთავარია, ყოველივე ამას ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება, მტრობა და დაქსაქსულობა შეაქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მსგავსი უსამართლო თავდასხმები უმეტესად მძიმე სულიერ ტრავმებს იწვევს ადამიანში და ზოგჯერ საბედისწერო დასასრულის მიზეზიც კი ხდება.

ბოლშევიკთა ბატონობის შავბნელი ხანის დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე ერთი პიროვნებისადმი ყველაფერი დადებითის მიწერისა და უარყოფითის მიჩქმალვის მანკიერი პრაქტიკა მისი განდიდების მიზნით. მსგავსი ტენდენცია, სამწუხაროდ, ჩვენს ეროვნულ მოძრაობაშიც შეინიშნება და საჭიროა დროულად დავარისხოთ განგაშის ზარი... (მსოფლიო მასშტაბით კომუნისტური სისტემების სწრაფი ნგრევა იმის ნათელი დასტურია, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში მარტო რომელიმე დაჯგუფებისა თუ პიროვნების დამსახურება კი არაა, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კანონზომიერი, გარდაუვალი შედეგი...)

ასე რომ, ტერმინ "ნეობოლშევიზმის" აზრი სრულიად ნათელი და არაორაზროვანია. მისი განმარტება სხვაგვარად, და არა ისე, რა აზრითაც ის ხმარებულია ზემოთხსენებულ წერილებში, მხოლოდ იმის მცდელობაა, რომ თავიდან აირიდონ უსიამოვნო ბრალდება ნეობოლშევიზმში. ამის გზა ერთია: ბოლშევიკურ-ნეობოლშევიკურ მეთოდებზე ხელის აღება! ეს არც ისე ძნელი გზა კი ურთიერთმიტევებისა და ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციის გარანტიის გზაა.

ანზორ აბჟანდაძე

## ღამის ბნელი აქცია

ყოველი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი, მთელი ქართული ეროვნული მოძრაობა შეშფოთებულია 2 თებერვლის ღამეს თამარ ჩხეიძის სახლთან მოწყობილი ბინძური "აქციით". მართლაც, ძნელია რაიმე კვალიფიკაცია მოუძებნო ჰუმანიზმითა და ქრისტიანობით განთქმულ ქვეყანაში ასეთ მოქმედებას. ძნელია არა იმიტომ, რომ ეს ამაზრზენი და საშიში გამოვლინება უცხოა საბჭოთა რეალიზმისათვის, არამედ ძნელია იმ მიზეზით, რომ მასში, როგორც ჩანს, მონაწილეობდნენ სპეცსამსახურების მიერ საგანგებოდ დამუშავებული, გაბრიყვებული და ერთფეროვან, განუკითხავ რუხ მასად ქცეული ქართველები – ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ტკივილი და ფიქრი, ის ადამიანები, რომელთა გულუბრყვილობასაც საკუთარი ბოროტი მიზნებისათვის იყენებენ მავანნი და მავანნი... ის ადამიანები, რომელთაც დიდი ცოდვისაკენ სწორედ ის ძალები უბიძგებენ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ფრთაშესხმულნი მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის ჩვენგან წასვლით. ის შავბნელი ძალები, რომლებიც ცდილობენ რეალურ გზას ააცდინონ ქართული ეროვნული მოძრაობა და მათთვის სასურველ კალაპოტში მოაქციონ იგი. დიახ, ჩვენ შეშფოთებულნი ვართ სწორედ იმით, რომ ეს ძალები ქართველ ადამიანებს აცდუნებენ – სიცრუით, ჭორით, დეზინფორმაციით, ინტრიგებით და ძალადობით სურთ კვლავ ბნელი რეაქცია გააბატონონ ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოში. ღმერთო, შეუნდე იმ ადამიანებს, რომლებიც სატანისგან არიან ცდუნებულნი, რომლებმაც არ იციან, რას სჩადიან. ალბათ, დადგება დრო, და ისტორია ყველას თავისას მიუზღავს და ბნელს ნათელით გააჩირაღდნებს. მაგრამ ჩვენთვის ახლა უკვე სრულიად გასაგებია იმ ფსიქოზის ბუნება, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში ტრიალებდა საქართველოში. სულმნათი ილია წერილში "ვიცინოთ თუ ვიტიროთ" კარგად შენიშნავს:

"ვგონებ არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბლერტინებს. არც მის მომქმედსაც აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო".

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეშფოთებულია 2 თებერვლის ღამის ბნელი აქციით, გმობს მას და მის მომწყობთ, რომლისგანაც, ღვთის წყალობით, ჭეშმარიტი ეროვნული ძალები შორსა დგანან. ჩვენ ვუცხადებთ პროტესტს ჩეკასა და პოლიტსამმართველოს მემკვიდრეებს, რომლებიც ხელს უშლიან პროგრესისა და დემოკრატიის დამკვიდრებას საქართველოში.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

## ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს!



## თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო !

ეროვნული და სამართალდაცვითი ბრძოლის წინააღმდეგ სუკ-ს დღესაც არ შეუცვლია თავისი მეთოდები. როგორც ჩანს, იგი კვლავ ერთგულია 70 წლის მანძილზე დანერგილი ტრადიციებისა. ყველაზე საშინელი და სამარცხვინო კი ისაა, რომ იგი მრავალეროვან იმპერიაში ზოგჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ აფარებს თავს. სუკ-ის მრავალფეროვან მეთოდთაგან აღსანიშნავია ეროვნული და სამართალდაცვითი მოძრაობის აქტიურ წევრთა მიმართ საერთო-სახალხო სიძულვილისა და აღშფოთების ინსცენირება. ყოველთვის შეიძლება ნაძირალათა ბრბოს დაქირავება, რომლებიც გამოსვლებსა და მიტინგებს აწყობენ ისეთი პიროვნებების წინააღმდეგ, როგორებიცაა – სახაროვი, სოლჟენიცინი, ორლოვი და სხვები. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი რამ განხორციელდა ჩვენშიც. ა.წ. 2 თებერვალს თამარ ჩხეიძის სახლის წინ შეიკრიბა ბრბო. ისინი მოითხოვდნენ თ. ჩხეიძის დაპატიმრებას, დასჯას, აცხადებდნენ მას მოღალატედ და ა.შ. იქ მისულნი რომ სპეცსამსახურების მიერ იყვნენ შეკრებილნი, ეს ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან აქციაში არ მონაწილეობდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები და დღემდე პასუხისმგებლობა მის ჩატარებაზე არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ აუღია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არათუ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციისათვის, არამედ უბრალო ქართველი კაცის ბუნებისთვისაც სრულიად მიუღებელია ის ფაქტი, რომ სუკ-ს თხოვო ადამიანის რეპრესირება.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვგმობთ სუკ-ის მიერ ჩატარებულ ამ აქციას და ვაცხადებთ პროტესტს. ამასთან მოვითხოვთ გამოაშკარავდეს აღნიშნული აქციის მომწყობი და წარმმართველი პიროვნებები.

1. გიორგი მაისურაძე (თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდული პრესკლუბი)
2. ზურაბ ჟვანია (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა)
3. გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი, გოჩა აზზიანიძე (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია)
4. ირაკლი კაკაბაძე (ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაცია)
5. ვაჟა მთავრიშვილი (საქართველოს დემოკრატიული პარტია)
6. ზაზა სიხარულიძე (ინვალიდთა ასოციაცია – ღვთის შვილთა კავშირი)
7. გიორგი ჭეიშვილი (ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება)
8. ვახტანგ ძაბირაძე (საქართველოს რესპუბლიკური პარტია)
9. ტარიელ ღვინიაშვილი (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია – სეგო)
10. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

8.02.90

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუძა აფაქიძე, იოსებ ბანძელაძე, კახაბერ კახაძე, თამარ ჩხეიძე, ნიკო ჭავჭავაძე

საზოგადოების დროებითი მისამართი: ლუნაჩარსკის 2,III სართ. ტ:93-39-32

ფასი 1 მან.